# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1635 2020 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

**საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 2020 წლის 22 ივლისს ნოტების გაცვლის გზით გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ**

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად:

1. „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების“ დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ივლისის №471 დადგენილების ფარგლებში, გრანტის მიმღებად განისაზღვროს საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „კრაუნ ეუჯენტს იაპონიას“ (Crown Agents Japan Limited) შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება, რომელიც ეხება იაპონიის საგრანტო დახმარებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამისთვის.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების გატარება ამ განკარგულების შესრულებისა და ამავე განკარგულების მე-2 პუნქტით მოწონებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის, საქართველოს მთავრობის სახელით შექმნას საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის ფუნქციაც იქნება ნოტების გაცვლის დოკუმენტიდან ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი საკითხის განხილვა.

4. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს – გიორგი წოწკოლაურს.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან საგრანტო ხელშეკრულების მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება, გარდა გრანტის მიღების მიზნის, მოცულობისა და სახსრების (ფულადი თუ ნატურალური ფორმით) გამოყენების კონკრეტული მიმართულების ცვლილებისა, მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდგომ, გადაწყდეს საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „კრაუნ ეუჯენტს იაპონიას“ შორის შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**